საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1250 2016 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

ყვარლის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. მიმდინარე წლის სექტემბერში, ქალაქ ყვარელში, „ფატმასურის“ დასახლებაში ღვინის ფესტივალის ჩატარებასთან დაკავშირებით შენობების ფასადების, ღობეებისა და გზის გვერდულების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ყვარლის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი _____ გიორგი კვირიკაშვილი